№ 17 1877—1905 № 17

შაბათი, 5 მარტი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთ თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф. Ред. „Иверіа"

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

შაბათი, 5 მარტი

განცხადების ფასი: ბოლოს [illegible] სტრიქონი [illegible] ... 12 კაპ. [illegible] ... 10 [illegible]
[illegible] ... 1 [illegible]
[illegible] ... 1 [illegible]
[illegible] ... 1

რუსთა რაზმმა, დაახლოვებით ერთ დივიზიამდე, რომელსაც ტელინი ეჭირა, მცირე წინააღმდეგობის შემდეგ დასცალა იგი და მიატოვა. (რ. ს).

ტოკიო. (ბერლინიდან მიღებული). კრეისერები «როსსია» და «გრომობოი» მოამზადეს ზღვაში გასასვლელად. 20 ნაღმოსანი და რამდენიმე წყალ-ქვეშ მავალი ნავიც აგრეთვე მზად არის ზღვაში გასასვლელად. (რ. ს.)

სოფია. ბულგარიის პრესსა გულმხურვალე თანაგრძნობას უცხადებს რუსთა მხედრობას, რომელიც იძულებული იყო მუკდენიდან უკან დაეწია, და იმედოვნებს ამიერიდან იაპონელების საქმე ცუდად წავიო (რ. ს.).

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე).

ჟურნალ-გაზეთებიდან.

მუკდენის ბრძოლის შედეგი. ყოველ გამარჯვებას მხოლოდ ერთი საზომი აქვს—შედეგი შეიძლება ამა თუ იმ სარდალმა მოწინააღმდეგეც დაამარცხოს, ბევრი სამხედრო მასალაც წაართვას და უკან დაახევინოს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც უნდა ჰკითხოს თავის თავს: ამ გამარჯვებით რა მოვიგე, რას მივაღწიე და მოგებული ბრძოლა ღირს თუ არა იმ ზიანად, რომელიც ბრძოლის დროს მომივიდა. მეცხრამეტე საუკუნეში ბევრი დიდი ბრძოლა მომხდარა: ნაპოლეონმა არა ერთხელ დაამარცხა და გაანადგურა ავსტრიისა, გერმანიისა და რუსეთის ჯარები ეილაუსა, ფრიდლანდსა, აუსტერლიცსა, სმოლენსკსა და ბოროდინოსთან. ბლიუხერმა ნაპოლეონი ლეიპციგთან დაამარცხა, ველინგტონმა იგივე ნაპოლეონი ვატერლოოსთან დაამარცხა. საფრანგეთის ჯარმა მარენგოსა და სოლფერინოსთან ავსტრიის ჯარს ძალიან ცუდი დღე დაუყენა. იგივე ავსტრიელები 1868 წელს მოლტკემ კენიგრეცსა და სადოვასთან თითქმის მთლად გაანადგურა. იმავე მოლტკემ სამი წლის შემდეგ საფრანგეთი აიკლო: ფრანგები ჯერ გრაველოცთან დაამარცხა, მერე მარშალ მაკმაგონის ჯარი (150,000) სედანში მოამწყვდია და დაატყვევა; იმავე დროს საფრანგეთის მეორე ლაშქარს მარშალის ბაზენისას იმავე მოლტკემ მეცის ციხეში წრე შემოავლო, დაატყვევა, სწრაფად პარიზისაკენ გასწია, პარიზს ალყა შემოარტყა და სამი თვის შემდეგ აიღო კიდევაც. მაგრამ მუკდენის ბრძოლამ ერთის მხრით ყველა ზემოხსენებულ ბრძოლებს გადააჭარბა. ლეიპციგის ბრძოლაში 2,000 ზარბაზანი ჰქუხდა და 500,000 კაცი იბრძოდა; მუკდენში-კი 3000 ზარბაზანი ჰქუხდა და 850,000 კაცი იღებდა მონაწილეობას. მუკდენის ბრძოლა ძალიანა ჰგავს ლეიპციგის ბრძოლას, რომლის ბედი გენ. ბლიუხერმა გადასწყვიტა. იმ დროს, როცა რუსეთისა და გერმანიის შეერთებულ ჯარებს ფრანგებზე იერიში მიჰქონდათ, გენ. ბლიუხერმა 100,000 კაცით თითქმის 100 ვერსის სიშორიდან მოუარა ნაპოლეონს და ბრძოლის ბედიც სწორედ ამან გადასწყვიტა. იგივე მოხდა მუკდენთან. იმ დროს, როცა გენ. კუროკის, ნოძუსა და ოკუს იერიში იერიშზე მიჰქონდათ, გენ. ნოგიმ რუსების მარჯვენა ფრთეს-შორიდან მოუარა და რუსებს დაესავლეთიდან მოექცა. თუმცა კუროპატკინმა ნოგის წინააღმდეგ დიდი ჯარი გაგზავნა და ამ ჯარის უფროსობაც თვითონ იკისრა, მაგრამ პორტ-არტურის გმირი მუკდენთანაც გმირად დარჩა და ისეთის ხელოვნებით აიღო მუკდენი, რომ კუროპატკინს სულ დავთრები აერია. მუკდენის აღების შედეგი იმდენად დიდია, რომ ამას დენის აღების შედეგი იმდენად დიდია, რომ ამას ლოდენ. მუკდენის ბრძოლის მოგებას ორი უმთავრესი შედეგი მოჰყვა: გამარჯვება სტრატეგიული და პოლიტიკური. თუ იმას მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ამ ბრძოლის შემდეგ რუსეთის ჯარი სულიერად დაეცა, რომ რუსებს თითქმის 120000 კაცი დაკლდათ (43000 ტყვე) და იაპონელებს აუარებელი და ურიცხვი სამხედრო მასალა და სურსათი დაუტოვეს, მარტოოდენ იაპონელთა პოლიტიკური გამარჯვება ღირს იმ ზიანად, რომელიც ამ ბრძოლის დროს მოუვიდათ იაპონლებს. მუკდენი მთელი ჩინეთისთვის უწმინდესი ქალაქია, იგი ტაძარია ციისქვეშეთ იმპერიისა, რომელიც ეხლა, მუკდენის ბრძოლის შემდეგ სამუდამოდ მიემხრობა იაპონლებს, რუსებს უკიდურესობამდე შეიძულებს და, სანამ რუსეთის ჯარი მანჯურიაში იქნება, ყოველნაირად და ყოველგვარად გაუჭირვებს საქმეს ამ ჯარს. იაპონიამ მუკდენის აღებით ჩინეთის გარდა მთელს ქვეყანაში და უფრო კი აზიაში გაიმარჯვა. რუსეთს აზიელებში ნდობა და გავლენა დაეკარგება და სამაგიეროდ ამ გავლენას იაპონია მოიპოვებს. პოლიტიკურ გამარჯვების შედეგი მეორე დღესვე არ წამოჰყოფს თავს. ის გამოჩნდება თანდათან და თავის უმაღლეს წერტილამდე მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მიაღწევს, მაშასადამე, იაპონელთა პოლიტიკურ გამარჯვების რაოდენობის გამოკვლევაც მხოლოდ მომავალს შეუძლიან.

მეორე გამარჯვება იაპონლებისა—სტრატეგიული გამარჯვება მუკდენის აღებით დაიწყო და თანდათან წინ მიდის. იაპონელებმა უკვე ტელინიც აიღეს, რუსებს გირინისკენ სდევნიან და სრული იმედი აქვთ, რომ რუსები ხარბინამდე ავლენ. შეიძლება რუსეთის ჯარი დროებით კაიუ-იუანსა, ჩანტიფუსა და გირინშიაც შეჩერდეს და შეისვენოს, მაგრამ ცხადია, რომ იაპონლებს ვერ შეაჩერებენ და პირდაპირ ხარბინისკენ გასწევენ. გენ. კუროპატკინი 5 თვეს იდგა შახეს ნაპირებზე და ეს დროც კარგად გამოიყენა: ტელინი ძლიერ გაამაგრა, შიგ მეკიხოვნე ჯარი ჩააყენა და იმედი ჰქონდა, თუ მუკდენს ვერ შევინარჩუნებ, ტელინს იქით კი აღარ დავიწეო. მაგრამ ტელინის ბედიც სწორედ მუკდენის ბრძოლამ გადასწყვიტა. მუკდენთან რუსები ისე ძლიერ დამარცხდნენ, ისე აირ-დაირიენენ, რომ ტელინისთვის აღარ სცხელოდათ და მხოლოდ თავის შველას-ღა ცდილობენ. რუსების ცენტრმა, მარჯვენა ფრთემ და მარცხენა ფრთეს ნაწილმა მანდარინის გზით ტელინისკენ დაიხიეს, მდინარე ფანხეს ნაპირებზე შეჩერდნენ და უკან ჩამორჩენილ ჯარს დაუცადეს. კუროპატკინი, უეჭველია, ტელინის შენარჩუნებას აპირობდა, მაგრამ თავის სახიფათო მდგომარეობა დროზე შეიგნო, რენენკამფისა და დანილოვის ჯარებს თავი მიანება და საჩქაროდ უკან წამოვიდა. ტელინში იაპონელთა შესაჩერებლად ერთი დივიზია დარჩა; მაგრამ ამან შედგარი გენ. ნოგი ვერ შეაჩერა და ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ტელინი იაპონელებს დაუთმო. 2 მარტს, ღამის 12 საათზე იაპონიის ჯარმა ტელინი დაიჭირა და მეორე დღეს ისევ რუსებს გამოუდგა. რუსების ორივე ჯარი, კუროპატკინისა და რენენკამფისაც სხვადასხვა გზით გირინში მიდიან, მაგრამ ორივენი დიდ საფრთხეში არიან ჩავარდნილნი. გირინს მიმავალი ორი გზა ერთმანეთს ას ვერსის მანძილზე არიან დაშორებულნი და სანამ ორივე ჯარი გირინამდე ავიდოდეს, ერთი მეორისა არაფერი ეცოდინებათ. ტელინიდან გირინამდე კუროპატკინის ჯარმა 300 ვერსზე მეტი უნდა გაიაროს და რკინის გზასაც თანდათან უნდა დაშორდეს. გირინი მდებარეობს რკინის გზის აღმოსავლეთით, 100 ვერსის მანძილზე. მაშასადამე რუსეთის ჯარს რკინის გზით ველარც ჯარს მიაშველებენ, ველარც სურსათს მიაწოდებენ, ველარც იარაღს, ველარც სამხედრო მასალას და ველარც ყუმბარას. აქედან სჩანს, რომ კუროპატკინის ჯარი უდიდეს საფრთხეშია ჩავარდნილი და, ვინ იცის, იქნება საქმე იმითაც გათავდეს, რომ რუსეთის დამშეულმა და ილაჯ-გადაწყვეტილმა ჯარმა თოფ-იარაღი დაყაროს და იაპონელებს ტყვედ დანებდეს. რუსეთის მეორე, რენენკამფის ჯარი უფრო უარეს დღეშია ჩავარდნილი. ეს ჯარი იაპონიიდან (მუკდენის აღმოსავლეთითაა) პირდაპირ გირინში მიდის, მაგრამ არც გზა აქვს კარგი, არც საკმაო სურსათი და არც სამხედრო მასალა. წინ კი 350 ვერსი უძევს და დაუჯერებელია, რომ ამ ჯარმა გირინს მშვიდობიანად მიაღწიოს და კუროპატკინის ჯარს შეუერთდეს. დღემდის იაპონელები ტელინამდე ავიდნენ, ე. ი. ხელთ იგდეს 90 ვერსის სიგძე მიწა-ადგილი. მაგრამ ცხადია, იაპონელები ორიოდე კვირის შემდეგ გირინსაც მიადგებიან და ამ რიგად ხელში ჩაიგდებენ 400 ვერსის სიგძე მიწა-ადგილს. როგორც ხედავთ, სტრატეგიული შედეგი მუკდენის გამარჯვებისა დაუფასებელია, უშველებლია. მაგრამ ისევ ვიმეორებთ, საქმე მარტო ამით არ გათავდება და მუკდენის გამარჯვების ტალღა უეჭველად ხარბინამდე მივა და ვლადივოსტოკისკენაც გადაუხვევს. თუ იაპონელთა გამარჯვების ყველა ზემოხსენებულ შედეგს გავითვალისწინებთ, ცხადი შეიქნება, რომ ისეთი გამარჯვება, როგორიც იაპონელებს ხვდა წილად მუკდენის მიდამოებში, მთელ მსოფლიო ისტორიაში იშვიათად თუ მოიპოვება, მაგრამ ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, უმთავრესი და უდიდესი სტრატეგიული და პოლიტიკური შედეგი იაპონელთა გამარჯვებისა თანდათან გამოჩნდება და ვინ იცის, რით და როდის დასრულდება. (ნ.).

გენ. კუროპატკინის გადაყენება. დეპეშამ ფრიად საყურადღებო ამბავი მოგვიტანა. მანჯურიის ჯარებისა და დიდ ოკეანეს ფლოტის უფროსი, გენ.-ად. კუროპატკინი ამ თანამდებობიდან გადააყენეს და იმის ალაგას გენ. ლინევიჩი დანიშნეს. გენ. ლინევიჩი რუსეთშიაცა და საზღვარ გარედაც განთქმული მხედარია. ლინევიჩი კავკასიაში დაიბადა, აქ აღიზარდა, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს მონაწილეობა მიიღო და პირველად სახელი ამ ომის დროს გაითქვა. 5 წლის წინად ჩინეთის დამშვიდების დროს ლინევიჩი ჩრდილოეთიდან წამოსულ რუსეთის ჯარის უფროსი იყო. ლინევიჩი მანჯურიაში შეიჭრა, რამდენჯერმე აჯანყებულ ჩინელთა რაზმი დაამარცხა და პეკინის აღებაშიაც მონაწილეობა მიიღო. უკანასკნელ დროს ლინევიჩი პრიამურის ოლქის ჯარების უფროსი იყო, მერე ვლადივოსტოკის რაზმის უფროსობა ჩააბარეს და დაავალეს, კორეაში გაილაშქრე და იაპონელებს გზა მოუჭერითო. მაგრამ ეს გეგმა რუსეთმა ვერ შეასრულა და ამ აზრსაც თავი დაანება. ბოლო ხანებში გენ. ლინევიჩი დაინიშნა რუსეთის მესამე ლაშქრის უფროსად. ეს ლაშქარი მუკდენის ბრძოლის დროს აღმოსავლეთ ფრთეზე იდგა და გენ. კუროკის ებრძოდა. ეხლა ლინევიჩი კუროპატკინის მაგივრად დაინიშნა. ეს ცვლილება ამტკიცებს, რომ რუსეთი ზავზე სულაც არ ფიქრობს და ომის გაგრძელებას აპირობს. მაგრამ არც იაპონელები ელიან ამ მოკლე ხანში რუსეთთან შერიგებას. იაპონიის ელჩმა, ბარონმა გაიაშიმ ლონდონში განაცხადა, სანამ თვითონ რუსეთი არ მოითხოვს შერიგებას, იაპონია ომს განაგრძობსო (რ. ვ).

მომავალი საზღვაო ბრძოლა. ამას წინად დეპეშამ ამბავი მოიტანა, ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრის, რუსეთში დაბრუნება ებრძანაო. მაგრამ ეს ხმა ტყუილი გამოდგა. რუსეთის საზღვაო შტაბის უფროსმა, ადმირალმა ვირენიუსმა „რუს. სლ.“ ოს კორესპონდენტს გამოუცხადა, ადმირალი როჟესტვენსკი უკან კი არ დაბრუნდება, წინ წავა და თავის საქმეს შეასრულებსო. მაგრამ ეს არაკი ყველაზე ნაკლებად იაპონელებს დაუჯერებიათ. 2 მარტს სინგაპურში იაპონელთა 3 კრეისერი და 1 სანახშირე გემი გაჩერდა და მერე ისევ წავიდა. ამავე დროს სოხლინგის კონცხთან (იქვე ახლოა) იაპონიის მთავარი ფლოტი (მამა გემი) დაუნახავთ. ეტყობა იაპონელებმა გაიგეს როჟესტვენსკის მოახლოვება და მახეს უგებენ. იაპონელებმა არც ვლადივოსტოკს მოაშორეს თვალ-ყური და შენიშნეს, რომ რუსეთის ორი კრეისერი და რამდენიმე ნაღმოსანი ზღვაში გასვლას აპირობენ. ცხადია, ამ ცოტა ხანში დიდი ამბავი მოვა შორეულ აღმოსავლეთიდან. ეს რამდენიმე თვეა, რაც მედგარ ადმირალის ტოგოს სახელი მთელ ქვეყანას აღარ მოსდებია. ეხლა ჯერ ისევ ტოგოზე მიდგება (რ. ლ.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

ფოთი, 4 მარტი. **დანამდვილებით გავიგეთ, რომ ეპისკოპოსმა დიმიტრიმ სამუდამოდ დასტოვა გურია — სამეგრელოს ეპარქია და დღეს ფოთიდან წავიდა.**

ქუთაისი, 4 მარტი. დღეს ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიამ სომეხთა ეკკლესიაში პანაშვიდი გადაიხადა ბაქოში დახოცილთა სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს ბევრი ხალხი დაესწრო. მღვდელმა ამირაღოვმა სიტყვა წარმოსთქვა კავკასიის ეროვნებათა შეერთებაზე.

ახალი ამბავი

✦ როგორც გუშინ ვწერეთ, ქალაქ ტფილისის სასწავლებლების **მოწვეთა მშობლები შეიკრიბებიან** სასწავლებლებში ეხლანდელ აღგზომარეობის შესახებ მოსალაპარაკებლად.

✦ ხუთშაბათს, 3 მარტს, კერძო **კრება ჰქონდათ ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსნებს, რომელთაც უნდა აერჩიათ ცალკე კომისია.** ამ კომისიას მინდობილი ექმნება შეადგინოს მოხსენება იმის თაობაზედ, თუ რა განზრახვა და შეხედულებანი ექმნება ტფ. ქალაქის თვით-მმართველობას ხალხის კეთილ-დღეობისა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის გაუმჯობესობის საქმეში, რომელიც აღნიშნულია შინაგან საქმეთა მინისტრის სახელობაზედ 18 თებერვალს გამოცემულ უმაღლეს რესკრიპტში. ხმოსნებმა ამ კომისიაში კანდიდატებად დასახელეს: ქალაქის მოურავი ქრ. ა. ვერმიშევი, თავ. ა. მ. არღუტინსკი-დოლგორუკოვი და თავ. გ. მ. თუმანოვი. კომისიამ, სხვათა შორის, უნდა იშუამდგომლოს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით დაარსებულს საგანგებო საკანონმდებლო კრებაში კავკასიიდანაც მოიწვიონ ხალხის წარმომადგენლები. კომისიის არჩევნები მოჰხდება ორშაბათს, 7 მარტს, ქალაქის საბჭოს სხდომაზე.

✦ ხუთშაბათს, 3 მარტს სამეურნო საზოგადოების კრების მიერ არჩეული დეპუტაცია: თავ. შარავაშიძე, ბ-ნი ქალანთარი და ტარატინოვი **წარუდგენენ მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელ**, გენერალ-ლეიტენანტს მალამას და მოახსენეს კრების დადგენილება შესახებ სოხუმის ოლქში თამბაქოს მომშენებელ ოსმალეთის ქვეშეერდომთა გადასახლებაზე. მთავარ-მართებელმა მოისმინა დეპუტაციის თხოვნა და დაპირდა ყოველის ღონისძიებით დახმარებას მიწად-მოქმედების მინისტრთან.

✦ საქართველოს ექსარხოსს დაუნიშნავს სამღვდელო პირთაგან კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს მიზეზები **ეპარქიალურ დედათა სასწავლებლში მომხდარი უსიამოვნებისა.** კომისიას თავმჯდომარეობს ტფილისის სემინარიის რექტორი; თვით კომისია შესდგება თერთმეტი წევრისაგან; მათგან ექვსი რუსია, ხუთი ქართველი.

✦ ტფილისის **სახელოსნო სასწავლებლის** უფროსი კლასის შეგირდები გუშინ აღარ მივიდნენ სასწავლებელში სამეცადინოდ.

✦ ამიერ-კავკასის რკინის გზათა გამგეობის უმთავრესმა ბუჰგალტერიამ განკარგულება მიიღო, — ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ-სახელოსნოებისა და სად. ტფილისის დეპოს **მუშებსა და ხელოსნებს უკლებლად მიეცეთ ხელფასი** 18-დან 31 იანვრამდეო. როგორც ვიცით, 18-დან 31 იანვრამდე **საზოგადო გაფიცვა იყო ტფილისში** და არც რკინის გზის სახელოსნოებში მუშაობდნენ, ხოლო ხელფასს კი ყველას უკლებლივ დღეს, 5 მარტს, დაურიგებენ.

✦ სად. **ნატანებში ამჟამად ჯარია გაჩერებული** გენ.-მ. ალიხანოვ-ავარსკის უფროსობით, სულ 5,000 კაცი. „ნ. ობ“.ს სიტყვით, ამ ჯარს 4 **დიდი ზარბაზანი აქვს** და 2 **პატარა**. გარდა ამისა, 200—300 ყაზახ-რუსიც ახლავს. გენ. ალიხანოვ-ავარსკის სად. ნატანებში საგანგებოდ

ფელეტონი

კამილავკა.

(მცირედი-რამ ამბავი).

— ჩემო ქალო, შინა ხარ?—მოდი ერთი ვეამბორო მაგ შენს თურაშაულ ლოყებს!..

— დაიცა, ღვდელო, სირცხვილია!.. რო დაგვინახოს ვინმე, რას იტყვიან?!

— რა უნდა თქვან!.. ქმარი ცოლსა ჰკოცნისო. სხვა რა უნდა თქვან? რა უკანონობას მე ჩავდივარ!

— უკანონობას კი არ ჰჩადიხარ, მაგრამ რაღა დროს ჩვენი კოცნა-ხვევნა არის, დავბერდით! აღარ შეგვშვენის.

— რატომაც არ შეგვშვენის, რაო? კიდევაც ვჯობიავარ ახლანდელ ჯეილებს! რაშიაც უნდა გამეჯიბრნენ: თუნდ გაქცევაში, თუნდ ქიდაობაში, თუნდ წაკითხვაში, თუნდ ანდერძის აგებაში!.. თუნდ კიდევ შვილების...

— ტყუილია მაგ დალოცვილი ნუნუასთანა! უენოსაც ენას ამოადგმევინებს და გაზაფხულის მერცხალივით ააჭიკჭიკებს.

— რატომაც არ ვიჭიკჭიკებ! ღმერთმა ააშენოს იმათი ოჯახი: კარგი გვაქამეს, კაი გვასვეს, სამი მანეთი წინ გასამძღოლი ჯიბეში ჩამიდეს და გამომისტუმრეს... შენ ხომ არაფერი დაგილევია დღეს და რას დამენაძლევები, შენ ჩემზე უარესად აგაჭიკჭიკო, ისეთი რამ შეგატყობინო.

— მე ვერაფრით ვერ ამაჭიკჭიკებ!

— მაშ მაიტა ხელი!...

— დაიცა, კარგი! მართლა და არავინ დაგვინახოს, სირცხვილია.

— შენ თვითონ შენი ნებით მამიშვერ მაგ ფუნთუშა ლოყებს, თუ შეგატყობინებ იმ ამბავს, რამაც ასე აატოკა ჩემი გული სიხარულით და ამაჭიკჭიკა. მაგრამ მანამდის არ დავიღლები შენი კოცნით, არაფერს გეტყვი.

— შენი ნები არის, ნურაფერს მეტყვი; მხოლოდ ერთხელ და ორჯერ არ დაგვიცდია, რომ მაგისთანა აღტაცებით სიხარულს უთუოდ სამწუხარო რამ მოჰყოლია. არ ვიცი, რა გაქვს სასიხარულო, მაგრამ მე კი გულში მეშინიან.

— ტყუილად გეშინიან, ჩემო... ჩემო... აბა რა გითხრა, ჩემო სულის კოლოფო! ხომ იცი, როგორც კოლოფში საუნჯე რამ ჩასდო და დაჰკეტო, სწორედ ისეა შენში ჩემი სული ჩაკეტილი-ჩაბეჭდილი.

— კარგი, მეყოფა მაგოდენა თავის მოქონვა და ალერსი!

— რის თავის მოქონვა! მე ეხლა ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფები, შესაძლებელი, რომ იყოს, ხელს მოვკიდებდი, ამოვიძრობდი ჩემ სულს და ფერხთა ქვეშ დაგიფენდი.

— ჰო, კარგი, მჯერა ყველაფერი!.. მითხარი ახლა, რაც სათქმელი გაქვს.

— აბა, მოიტა, ჯერ დავიღალო შენი კოცნით!..

— კმარა, ღვდელო!.. სირცხვილია!...

— აი ეხლა გეტყვი! დღეს ბლაღოჩინმა გამიმეღვანა, რომ კამილავკაზე წარგადგენო.

— მართლა?... ოჰ, მადლობა შენთვის, ღმერთო! ძლივს არ ეღირსა ჩემი ყურები ამ სასიამოვნო ამბის გაგონებას!... როდის იქნება, ერთი თვალითაც ვნახო!

— ნახვითაც მალე ნახავ. რო გითხარ, სასიხარულო ამბავს გეტყვი-მეთქი! მაშ მოიტა კიდევ დამატებითი!...

— ჰო, ეგ კარგი, ბლაღოჩინმა წარგადგინა. მერე იქ? იქიდანაც წარგადგენენ? საქმე იქ არის!

— კიდეც ეგ მიხარიან, რომ იქიდანაც წასულა წარდგენა. ეხლა წინ აღარაფერი უდგია—მერმის ემ დროს კამილავკიანი მღვდელი გეყოლები.

— თუ ჩემებრივ ეკოდინებოდათ შენს უფროსებს, კამილავკა კი არა—ეხლა დიდი ხნის დეკანოზიც უნდა იყო!

— სად არის კითხული და სამართალი, ჩემო კოკობო ვარდო! ოცდა ხუთი წელიწადია მღვდლადა ვარ და ამ ხნის განმავლობაში ბედენიკისა და სკუთიის მეტი არაფერი ჯილდო არა მაქვს-რა მაშინ, როდესაც ჩემს ნაამხანაგარებს გული ორდენებით აქვთ სავსე. დიდი უსამართლობა და უცოდო მოდლობა ტრიალებს ჩვენს უწყებაში! მე კიდევ რა მიჭირს! რამდენი არის ჩემზე უფრო დიდი ხნის ნამსახური, რომ ჯერ სკუთიაც არა აქვთ!

— შენ სხვა ხარ! როგორც შენ ასრულებ საღმრთო წესებს; როგორც შენ ერთგულად ლოცულობ ხემწიფისა და ქვეყნისათვის, რომელი მღვდელი ან დეკანოზი მოიმოქმედებს ამას!

— განა ტყუილს ამობ-რა! რითი მჯობიან ის ჩემი ნაამხანაგრები, ან სხვები, ვისაც გული ორდენებით აქვთ სავსე? ვერც ცოდნით და ვერც მთავრობისადმი ერთგულობაში ისინი წინ ვერ წამივლენ! მაგრამ უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მთავრობის თვალ-წინ არიან; თავიანთ მოქმედებას თვალით აჩვენებენ მთავრობას და კიდეც იღებენ ჯილდოებს. მე კი ამა როგორ დავანახვო აქედამ ჩემი ერთგულობა! აქ შუამავლად, ავისა და კარგის გადამცემი მთავრობისადმი ბლაღოჩინი უნდა იყოს. მაგრამ ბლაღოჩინიც იმასა ცდილობს, რომ იმაზე დაწინაურებული არავინ იყოს მისს საბლაღოჩინოში; თვის მეტოქედ არავინ გაჰხადოს მთავრობის თვალში; და თუ კარგს რასმე ჰხედავს სხვაში, ან გაჩუმებულია და არ აცნობებს მთავრობას, ან თეთრს შავად აჩვენებს. ეხლაც მიკვირს, როგორ წარმადგინა. მაგრამ, მგონია, სვინდისმა შეაწუხა.

— ეხლა კი მაინც ნამდვილია? როგორღაც მეუპირულება!

— არა, ეხლა წინ აღარაფერი უდგა. ისე მეგულება ეგ საქმე, რომ თითქო თავზე მეხუროს კამილავკა.

— ღმერთო, შენ გადმოგვხედე კეთილის თვალით! ხო რა გაჭირებაში ვართ; როგორ გვემძიმება სამ-სამი შვილის შენახვა ჩვენს ხარჯზე, — მაგრამ სამი შვილი რომ ერთად მიეღოთ სახეიმწიფო ხარჯზე, ისე არ გამიხარდებოდა, როგორც მაგ ამბავმა გამახარა.

— მაშ, უამბოდ დაგიკოცნიდი მაგ ფუნთუშა ლოყებს?

— ძლიერ გული მტკიოდა, რომ დაჩაგრული იყავი. გუშინდელ გამოსულ ნაწირავებს კამილავკები წამოუსკუპებიათ თავზე და ჩამოუკანკურებიათ გულზე ოქროს ჯვრები, შენ კი, ამდენი ხნის ერთგულად ნამსახურს, კამილავკაც არა გქონდა.

—ღმერთი მოწყალეა. აქამდის ჭირდა საქმე, თორემ ახლა, რაკი კამილავკას მივიღებ და პატივი და ღირსება მომემატება, ადვილად შესაძლებელია მთავრობასთან დაახლოვება. უნდა ვეცადო ვინმე, მთავრობასთან დაახლოვებული კაცი მოვიპოვო, დავიმეგობრო. მაშინ აღარაფერი გაჭირდება. მაშინ პირდაპირ იქიდამ უბრძანებენ ბლაღოჩინს — წარმადგინოს შემდეგ ჯილდოზე. აბა ნუ იკადრებს და ნუ წარმადგენს მაშინ!..

ასე მუსაიფობდნენ მღვდელი მამა იოსები (გვარი დამავიწყდა, დასწყევლოს, ენაზედ მადგა და ველარ კი მამიგონია) და მისი მეუღლე ფოფოდია ნინო.

ტკბილ მუსაიფს მალე ტკბილი ძილიც მოჰყვა... რა დიდად ისიამოვნებდა ფოფოდია ნინო, რომ შესძლებოდა ეცქირა მძინარე მეუღლისათვის! წამდაუწუმ მამა იოსებს ეხატებოდა ტუჩებზე სიამოვნების ღიმილი; ღიმილს ხანდახან მოსდევდა ზმუკუნად გადაქცეული სიცილი. ყველა ეს იყო გამოწვეული სასიამოვნო სიზმრით, რომელსაც ჰსუვრეტდა მამა იოსები თვალების მოხუჭვის უმალვე.

სიზმარი ალბად დიდხანს გაგრძელდა, რადგანაც, რაც ესიზმრა მამა იოსებს, იმის ცხადივ შესრულებას დიდი დრო უნდოდა. ხოლო ბოლოს და ბოლოს ტუჩების ღიმილი წარბებისა და პირისახის ჭმუნვად შეეცვალა, სიცილის ზმუკუნი—შფოთვად, და იმდენი იშფოთა, რომ სულ ოფლში გაიწურა. დასასრულ, როგორც იყო, მოიკრიბა ძალ-ღონე და ისე დაიყვირა: „თქვე შეჩვენებულებო, რაზედ დამლუპეთო!“ რომ ფოფოდია ნინო შიშისაგან ფეხზე წამოვარდა და დააჭყიტა თვალები. მამა იოსები ძალზედ ქშინავდა, ხოლო ფოფოდია დიდხანს უგუნურად იცქირებოდა. ძლივს-ძლიობით მოვიდა გონზე და მიჰმართა მეუღლეს:

— რა იყო, ღვდელო, რა მოგვიდა?

— ოჰ, ოჰ, ოჰ... დამაცადე, ერთი!.. ოჰ, გმადლობ, შენ, უფალო, რომ სიზმარი იყო და არა სინამდვილე!

— რა ჰნახე, შენი ჭირიმე, რა იყო?!

— რაღა რა ვნახე!.. თუმცა სიზმარი იყო, მაგრამ მაინც საშინელება რამ ვნახე.

— გული დაიმშვიდე, ეგნაცვა, და მიამბე ერთი, რა ჰნახე!

— ვითომც მამსვლოდა კამილავკა,—ბლაღოჩინმა შემატყობინა მოწერილობით, წავედი ქალაქში, შევაკერინე თერთმეტ მანეთად მშვენიერი, შვინდიფერის ხალერდის კამილავკა და წარუდექი ამ კამილავკით ექსარხოსს, მისი ლოცვა-კურთხეის მისაღებად. მომიღო მეტის-მეტად წყალობის თვალით. მკითხა: რატომ დაუგვიანებიათ შენთვის ჯილდოების მოცემაო. მე შემომესმა შენზე, რომ ძლიერ კეთილ-საიმედო მოძღვარი ჰყოფილხარო. შენისთანა კეთილ-საიმედო პირები ყოველთვის თავ-თავის დროზედ უნდა იღებდნენ ჯილდოებს, რომ უფრო წახალისდნენ დ ერთგულნი იყვნენ მთავრობისაცა და ეკკლესიისაცაო. მიბოძა ლოცვა-კურთხევა და გამამისტუმრა. ჩემზედ კაი აზრები ჩაეგონებინა იმ დაახლოვებულ პირს, ვისაც, ვითომ, მე დავუახლოვდი—გავიხადე მეგობრად, კეთილის მყოფელად. მოვედი შინ. დავიხურე კამილავკა და გეჩვენე; მამილოცე და მითხარ: „რა ძლიერ გიხდებაო“. მილოცავდნენ სხეებიც—მტრებიც და მოკეთენიც. არ გამოსულა ბევრი დრო, ჯერ ეკკლესიაშიც კი არა მხურებია კამილავკა, წამოწოლილი ვარ დერეფანში მუთაქაზედ, ვნახოთ, ჩვენმა ბავშვებმა მორთეს ყვირილი: მამაჩვენს რა ლამაზი ჩანახი უყიდნიაო. გამაარბენინეს შინიდამ კამილავკა, ეცნენ ეზოში აგროვილ ქვეშას, დაუწყეს კამილავკით აწყვა. მინდა გავუჯავრდე, დავუყვირო, ხმა ვერ ამომიღია! ისე გახადეს ის მშვენიერი კამილავკა, რომ სულ გაასაძაგლეს! ესეც როდი აკმარეს. გამოსჭრეს ცა—ძირი: რა კაი გორგოველა არისო და დაუწყეს გორება, უძირო კამილავკა კი მარგილზედ ჩამოაცვეს. ვწუხ, ვტოკავ, მინდა ავდგე და ბრაზ-მორეულმა ყველანი მარგილებზე ჩამოვაცვა—ისევე, როგორც იმათ კამილავკა, მაგრამ ადგილიდამ ვერ დავძრულვარ!.. იცი, რა ტანჯვაში და ვაი-ვაგლახში ვიყავ! გმადლობ, შენ, შემოქმედო, რომ სიზმარი იყო და არა სინამდვილე!

— უი მე!.. ნეტავი გამაქრო! ეგ როდი არის კაი სიზმარი!.

— ე კამილავკას ხომ ველარ გამიბრუნებენ და სხვა, რაც ენებოს ღმერთს, ის იყოს ჩემ თავს.

— მეც კამილავკაზე მეშინიან, თორემ სხვა რისა უნდა მეშინოდეს!

— არა, კამილავკა, როცა ბლაღოჩინი გამოტყდა და მითხრა, რომ იქიდამაც წავიდა უწმინდეს სინოდშიო, ვითომც ხელში მჭერია...

გათენებამდის თვალი აღარ მოუხუჭავთ არც ქმარსა და არც ცოლს. გააბეს ლაპარაკი სხვადასხვა შინაურ საქმეებზედ, მაგრამ ხშირად ისევ კამილავკა ხდებოდა ლაპარაკის საგნად. მათი ნალაპარაკეი რომ სავსებით აიწეროს, ამბავი ვრცელი და მოსაწყენი გამოვა. ხოლო, რაც კამილავკაზე ჩაუთვეს ლაპარაკში, იმას კი მოგახენებთ საზოგადოდ. ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ სად და რა ფერი ხალერდისა უნდა შეკერილიყო კამილავკა. ერთხმად გადაწყვიტეს, რომ არ შეიკეროს იგი იმ ფერისა, რა ფერისაც მამა იოსებმა ნახა სიზმარში... ჩამოთვალეს ისინიც, ვისაც უამბოდა ან ეწყინებოდა მამა იოსების კამილავკით დაჯილდოება. მხოლოდ, როგორც იმათი ანგარიშიდან გამოდიოდა, თითქმის არავის უამბოდა ასეთი დაწინაურება მისი.

სიზმარში მიღებული შეშაძრწუნებელი შთაბეჭდილება სრულიად გაუქარწყლა და დააკვიწყა მამა იოსებს ლაპარაკში გართობამ: ცოლიცა და ქმარიც ძლიერ კაი გუნებაზე აბრძანდნენ ქვეშაგებიდან. მამა იოსებს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ცხადლივაც შესაძლებელი იყო რაიმე უსიამოვნების ნახვა და გამოცდა. სწორედ ამ მოულოდნელობის ბრალი იყო, რომ უკიდურესს აღშფოთებამდის მიაღწიეს ცოლმაცა და ქმარმაც, როდესაც სინამდვილითაც დაატყდათ მათ თავზე უსიამოვნება.

სადილს ემზადებოდნენ. საზოგადოდ მამა იოსებს არ უყვარდა და ძლიერ იშვიათადაც სადილ-ვახშმობდა შინ. მომეტებულ ნაწილად, რაიმე წესის შესრულების შემდეგ, ანუ უამისოდაც, ვისთანმე შეექცეოდა. ამნაირ შეექცევას უფრო სასიამოვნოდ და სასარგებლოდ სთვლიდა ვიდრე შინ პურის მირთმევას. ამ დღეს კი სულითა და გულით ნატრობდა, არაფერი გამოვარდნ

მოწყობილი ვაგონი აქვს საცხოვრებლად. ჯარის კაცები და ყაზახები კარვებში დაბინავდებიან. ყაზახები ძლიერ თავგასულად იქცევიან თურმე და არავის არ ინდობენ.

✦ გაზ. „ბაკ. იზ.“-ში **დაბეჭდილია შემდეგი წერილი** ამავე გაზეთის თანამშრომლის ბ-ნის შ.—სა: „28 თებერვალს, ღამით, გამოვედი „ბაკინსკია იზვესტია“-ს სტამბიდან, გავედი სპარსეთის ქუჩაზედ და გავემგზავრე ჩემის ბინისაკენ. ახლის ქუჩის კუთხეში რომ მივედი, მომვარდა ლეონისაგან გალეშილი პოლიციის დარაჯი (სტრაჟნიკი), რომელსაც ხელში თოფი არა ჰქონდა და ფეხზედ ძლივს იდგა, ისე მთვრალი იყო. „შენ ე, გესმის, სად მიდიხარ?“—«სახლში,»—ვუპასუხე. ბაქოს გუბერნატორისაგან ნება-რთვა მქონდა აღებული, რომლითაც შემეძლო საღამოს 8 საათს შემდეგაც გამოვსულიყავ ქუჩაში; ვიფიქრე, ამ ქალალდით გამიშვებს-მეთქი, ამოვიღე და ვუთხარი,—აი, გუბერნატორის მოწმობა. «ვინ არის ახლა ჩვენი გუბერნატორი? აი, შე ბამაძ...ო, შენ!»—შემომიკურთხა და წაივლო ხელი ხმალზე. შემეშინდა, რადგანაც ბნელოდა და ახლო-მახლო არავინა სჩანდა; ამიტომ ვეცადე მახლობელ პოლიციის მე 2 ნაწილში გამომყოლოდა. «შენ პოლიციაშიაც უნდა წამიყვანო, შე»... (აქ ისე უშვერად დამიწყო ლანძღვა-გინება, რომ გახსენებაც მაწითლებს), წამავლო ცალი ხელი კისერში, ცალი ხელით ხმალი ნახევრად ამოიღო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ბნელ კუთხისაკენ მიმათრევდა მოვიკრიბე ძალ-ღონე, გამოვუსხლტი ხელიდან და გავექეცი. რადგანაც დარაჯი უზომოდ მთვრალი იყო, ვეღარ დამეწია, თუმცა კი ძლიერ სცდილობდა. იმ დარაჯის გვარი არ ვიცი, მაგრამ სახით ვიცნობ».

✦ ტფილისის **ქალაქის მოურავმა გაუგზავნა გუბერნატორს განსახილველად განცხადებანი:** სათადარიგო მეორონკანე მიხეილ სავიცკისა და ტფილისის მცხოვრებ ა. ფარსეგოვისა, რომლებსაც, ქუბაშე ყაზახები დახვდნენ და მოკლას უქადნენ. გუბერნატორს წარედგინა აგრეთვე მოხსენება დროებით ტფილისში მცხოვრებ ლ. იაბლონკოსი, რომელიც სწერს, რომ კვირას, 20 თებერვალს, როდესაც დემონსტრანტები გიფანტეს გოლოვინის პროსპექტზე, ყაზახები შეცვინდნენ კეოძო სადგომებში თეატრის ქუჩაზე, გამოჰყავდათ სახლებიდან შეშინებული ხალხი, და უმოწყალოდ სცემდნენო.

✦ **ტფილისის გუბერნატორს ზოგიერთა მოქალაქეთ განუცხადეს,** რომ მოქალაქეთა საზოგადოების რწმუნებულების ამრჩევნების დროს უკანონობა მოხდა და გთხოვთ მათი დამტკიცება ამ თანამდებობაზე დროებით შეაყენოთ, სანამ მთავრობა ამ უკანონობის მიზეზებს არ გამოიკვლევსო. გუბერნატორმა მოქალაქეთა განცხადება გადასცა ქალაქის საქმეთა საგუბერნო მმართველობას და დაავალა დაუყოვნებლივ დაინიშნოს კომისია საქმის ვითარების გამოსარკვევად.

✦ ტფილისის მუზეუმის დირექციას განუზრახავს მუზეუმთან **დააარსონ საბუნებისმეტყველო ბიბლიოთეკა**; ამ განზრახვით მუზეუმის დირექტორს უკვე შეუმენია მუზეუმისთვის დირექტორად ნამყოფ განსვენებულის რადდეს ბიბლიოთეკა; მასთანავე დირექციას აღუძრავს შუამდგომლობა განათლების სამინისტროს წინაშე, რომ იმ თანხიდგან, რომელიც ტფილისის სახალხო ბიბლიოთეკას ყოველ წლიურად წიგნების შესაძენად ეძლევა რამოდენიმე ნაწილი მიეცეს მუზეუმის ახლად დაარსებულ საბუნებისმეტყველო ბიბლიოთეკის შესავსებლად..

✦ გუშინ ქალაქის მოურავს წარუდგა დეპუტაცია ნაძალადევის მცხოვრებლებისა და სთხოვა, **მოგვაყიდეთ ქალაქის ის ადგილები,** სადაც სახლები გვიდგია, რომ ჩვენად დავინახოთ და შეეკვეძლოს მათი გაყიდვა ან დაგირავებაო, ეხლა არც ბანკი, არც არავინ კერძო პირი არ იგირავებს, სხვის ადგილზე აშენებული სახლები რად გვინდაო. ქალაქის მოურავი თანაგრძნობით მოეკიდა მათ თხოვნას და უთხრა, ამ ცოტა ხანში თქვენს თხოვნას ქალაქის საბჭოში განვიხილავთო.

✦ **სასანიტარო—სამკურნალო ინსპექტორმა** ქალაქის აფთიაქების მოიჯარადრეებს **ფურცლები დაუგზავნა** და სთხოვს ფურცლებში აღნიშნულს შემდეგ კითხვებზე უპასუხონ: 1) დღეში რამდენს საათს მუშაობს ფარმაცევტი, 2) მუშაობის შემდეგ რამდენ ხანს ისვენებს, 3) თვეში რამდენჯერ და რამდენ საათს მორიგეობს, 4) რა ჯამაგირს იღებენ: ა) პროვიზორები, ბ) თანაშემწენი და გ) აქვთ თუ არა მათ მუქთა სასმელ-საჭმელი და ბინა.

✦ 1 მარტს ღამის ათ საათზე მერვე პოლიციის ნაწილში მივიდა ქალაქ ერევნის მცხოვრები ალიფერ-გაჯი ბაბას ოღლი და განაცხადა, 1901 წელს, „პარიეის“ ნომრებში ქუთაისის მცხოვრების **დარისპან კვანტიაშვილის მკვლელი მე ვარო.** გამოძიებამ დაამტკიცა მისი ნათქვამი და მკვლელი მეტეხის ციხეში გაგზავნეს.

✦ ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა ქალაქის მოურავს, ქალაქის სკოლის მასწავლებლებს საბედნიერ-**დლეოდ საჩუქარი მიეცეთო.** ქალაქის მოურავი დაჰპირებია, თხოვნას აგისრულებთო.

✦ ტფილისის **გუბერნატორმა დაამტკიცა** ბ-ნი ეფსუჯიანცი ქალაქის გამგეობის წევრის თანამდებობაზე

✦ დღეს, საღამოს 8 საათზე ვეტცელის თეატრის შენობაში **დანიშნულია საზოგადო კრება ახლად** შემდგარ სიკვდილის დროს ურთიერთ დამხმარებელ-დამზღვევ საზოგადოების დამფუძნებლებისა, წესდების პროექტის განსახილველად.

✦ ხუთშაბათს გოლოვინისა და ბატარეინი ქუჩის შეესართავთან სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სახლს ცეცხლი გაუჩნდა ცეცხლი წაჰკიდებია ბარბარე ზარატუტკოს სადგომიდან. ცეცხლი ჩაქრო ცეცხლის მაქრობელ რაზმმა. ზარალი 200 მანეთამდეა.

✦ პოლიციის მე 8-ნაწილში შემახის სასტუმროდან რასუმოვისთვის ვიღასაც მოუპარავს სხვადასხვა საქონელი 500 მანეთისა. ხუთშაბათს უბნის ზედამხედველს სეროპ გულბენკიანცს მაღაზიაში აღმოუჩენია მოპარული 2 ხალიჩა, რომელიც გულბენკიანცისთვის მამედოვს მიუყიდნია. მამედოვი დააპატრიმრეს.

დილის თადარიგს. ემზადებოდნენ სადილის მირთმევას. სწორედ ამ დროს მოევლინათ, სრულიად მოულოდნელად, თვრამეტ ქალიშვილი ლიზა, მოწაფე ტფილისის საეპარქიო სასწავლებლისა. მისი უდროოდ მოსვლა სახლში როგორღაც ეუპირულა მშობლებს. ბილეთის საშუალებით და თვით ლიზას ნალაპარაკევიდან შეიტყეს, რომ მოსწავლე ქალებმა „ბუნტი“ მოახდინეს და მთავრობამ დაითხოვა ისინი სახლებში წასასვლელად ახალ განკარგულებამდე.

— ვაიმე, კამილავკავ და თავო დაღუპულო!.. წამოიძახა მამა იოსებმა ხელების ერთი ერთმანეთის შემოკერით და სასოწარკვეთილებით, როცა შეიტყო, რაშიაც იყო საქმე.—ეხლა ხომ ცუდად შემნიშნა მთავრობამ, შენს გამოისობით, შე ღვთისაგან შეჩვენებულო და წყეულო! ხომ აღარ მომკემენ ეხლა კამილავკას! რაზე გამაშავე უფროსების თვალში, შე იუდის კერძო, და დამიკარგე კამილავკა!

— მე რა გიყავი, რა ვქნა?!

— ის მიყავი, რომ კამილავკა დამიკარგე, კამილავკა! გესმის, თუ არა, შე შეჩვენებულო! ძლივს გავაბედინე, წარვადგენინე თავი: რეები არ ჩავიდინე, რომ ჩემი შემესრულებინა და შენ კი შენის ქცევითა და მოქმედებით ცეცხლზედ წყალი დამისხი!

— შენ ისე ლაპარაკობ, თითქო მთელი ის საქმეები, რაც მოჰხდა სასწავლებელში, მარტო მე ჩამედინოს, ან მოთავედ მე ვყოფილიყო? მთელი მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას საქმეში და მე როგორ ჩამოვრჩენილიყავ სხვას?!

— რატომაც ვერ ჩამორჩებოდი, შე წყეულო, თუ შენ კეთილი სული გიდგია და ადამიანობისა გცხია რამე!.. რომ არსად გამიგონია ამისთანა ღთვის წყრომა და უბედურება! საქრისტიანოს შესარცხვენად, ეს პირველი მაგალითი უნდა იყოს ქვეყანაზედ, რომ ლაწირაკმა გომბიოებმა მაგისთანა უწესობა და უღმერთო საქმე ჩაიდინონ!

— ჯერ გაიგე მიზეზი, რამ გამოიწვია ჩვენი „უწესობა“ და მერე თუნდ უღმერთო დაუძახე, თუნდ სხვა რამე.

— გავიგო, მე ვიცი, ქეთევან დედოფლისებურ მოწამეობის გვირგვინს დაიმსახურებთ, თქვენი ღვაწლით, თქვენ ნუ მომიკვდებით!

— აბა სწორედ ჩვენ გვეკუთნის იმისთანავე მოწამეობის გვირგვინი და უფრო უდიდესიც: ჩვენ არა ნაკლებ ქეთევნისა ვიტანჯებით, და ვიტანჯებით არა მაჰმადიანთაგან, არამედ მათგან, ვისაც მიიჩნია თავისი თავი ქრისტიანობის უპირველესს და ნამდვილ წარმომადგენლად!

— გაკმინდე ხმა, შე შეჩვენებულო!.. მომეტებულად ნუ მაღელვებ, თორემ ამაზედ მეტი აღარ შემიძლიან!

— რისთვის უნდა გავკმინდო ხმა? რასაცა ვგრძნობ, იმის თქმას ვერავინ დამიშლის! სასწავლებლად კი არა, სატანჯველად მიგყეევართ მშობლებს იმისთანა სასწავლებელში, სადაც ჯალათები გვადგანან ყოველ წუთში თავს, გვატანენ ძალას ვილოცოთ ტ ვეეედრნეთ ღმერთს უცხო, გაუგებარ ენაზე; სულსა და გულს კი არაფერიეცხობა ლოცვისა—მხოლოდ ამისთანა მოქმედებით იქამდის მივყეევართ, რომ სულითა და გულით გვაძულებენ ღმერთსაც და სარწმუნოებასაც. სადაც ჩაგვჩიჩინებენ ყოველ წუთს, რომ მარხვის ჭამა ცოდვა არისო, თვით ამისი ჩამგონებელნი ჩვენს თვალ წინ, აქავე, ჩვენს სუფრაზედ, შეექცევიან კატლეტებს და ბიშტექსებს; ჩვენ კი ამავე დროს ლობიოთი და ზეთით გვხეთქავენ; სადაც ხმა ვერ ამოგვიღია ჩვენს სამშობლო ენაზე ისე, რომ არ დაგვიყვირონ: „ძაღლის ენაზე ნუ ლაპარაკობთო“. მანამ სასწავლებელში წავიდოდი, ღმერთიც მიყვარდა და მარხვის გატეხაც ცოდვად მიმაჩნდა; ეხლა კი აღარც ღმერთი მწამს და აღარც მარხვა მიმაჩნია რადმე. ქრისტიანობის წარმომადგენელნი—ჩვენი აღმრზდელნი ხომ ისე მძულან, როგორც შავი ჭირი!

— შე ღვთის პირისაგან წყეულო და შეჩვენებულო, როგორა ჰბედავ ენის დატოკებას ან ღვთის შესახებ, ან შენს უფროსებზე! ვინ მოგცა შენ უფლება განსაჯო მოქმედება უფროსებისა?..

— ეგე, ღვდელო, გენიშნა, თუ არა ჩემი სიტყვები? აკი გეუბნებოდი, რომ არ არის საჭირო მაგისი სასწავლებელში გაგზავნა-მეთქი. რა გინდოდა, მუხლის ძირას მჯდომოდა და რაც ცხოვრებისათვის საჭირო და გამოსადეგი იყო, მესწავლებინა! რა შავქვად ვაქნევდი მაგის სწავლას! იმოდენა ფული ფულად დაიღუპა, უწინ დღე გამიქრეს—ამას უნდა გაუქრეს ამ უნამუსოს—შენც რომ გევნოს რამე—კამილავკა აღარ მოგცემენ, ხომ ელდამ გამათავა! არა, მე რომ სასწავლებელში არ მისწავლია, ვერ დავზარდე ამოდენა შვილები!

— თუ ასე მეცოდინებოდა, მე მოეუხერხებდი მაგას! ახ, მართლა და რატომ არ დაგიჯერე და მექათმედ და მებატედ არ გავზარდე! კაი მამა მაშინ ვიქნებოდი.

— მე მექათმობა და მებატეობა მერჩივნა გონებითა და ზნეობით დამახინჯებას!

— ეს სახელ გასაწყვეტი რეებს მიედ-მოედ-ბა?!.. რატომ მუცელში არ გამიწყალდი, შვილო, რომ აგვცილებოდა ეს უბედურება და შეწუხება!

ᲡᲐᲓᲦᲔᲘᲡᲝ

კითხვები, მუდამ კითხვები...

რას მოველოდეთ მაშინ, როდესაც საზოგადოება თავის სურვილების გამოთქმასაც ვერ ჰბედავს, სირაქლემასავით თვალს ჰხუჭავს და ჰგონია, რომ მის საიდუმლო განზრახვას ვერავინ მიჰხვდება?..

როდესაც სხვის შიშსა, სხვის მორიდებას ნაჩვევი საზოგადო მოღვაწე პირში წყალს იგუბებს და ყოველსავე ფეხის გადაგმაზე აქეთ-იქით იყურება შეშინებული და სხვასაც აჩერებს: გაჩუმდით! არ ილაპარაკოთ, გაიგონებენ და შეიტყობენ ჩვენი საზოგადოების სურვილებსო!..

ავყვეთ ამ რჩევას და მივიმალოთ კუთხეში, კრძალვით, მორიდებით ვუყუროთ საერთო ძალმომრეობას, ჩავიკლათ გულში უკეთესი ცხოვრების სურვილი და შიშით მოველოდეთ, მანამ პირს მოიბრუნებდეს ჩვენ კენაც მუხთალი ბედი?

გავჩუმდეთ ისე, როგორც ვიყავით წინად გაჩუმებული, იმის შიშით, რომ გაიგებენ ჩვენ საიდუმლო სურვილებს, თუ დავიძახოთ:

„გაიგონ, არ გვეშინიან!“

—

რა მოვისურვოთ მაშინ, როდესაც მოკლებული ყოველსავე უფლებას, სხვის სათამაშოდ გამხდარი,—ჩვენ მრავალგვარ საჭიროების დასაკმაყოფილებლად თითის განძრევასაც ვეღარ ვახერხებთ და შევაკერით გულ-დათუთქული ჩვენი ქვეყნის უპატრონობას?...

როდესაც ჩვენ ეროვნულ განვითარებას წინ ეღობება ათასნაირი დაბრკოლება, როდესაც ქართული ენა მოსპობილია სასწავლებლებში, როდესაც იგი განდევნილია სასამართლოდან და ყველა სახელმწიფო ან სასოფლო დაწესებულებიდან, როგორც ცუდი რამ, სამარცხვინო და უვარგისი!..

სამარცხვინო—ჩვენი ენა, ქართული ენა!?.

როდესაც კიდევ არა გვაქვს მიღებული იმის უფლება, რომ ჩვენ საქმეში ჩვენვე გავხდეთ გამგე-მმართველი?

გავჩუმდეთ? და ავიტანოთ ლანძღვა-დაცინვა, ავიტანოთ, რომ ველურებს გვეძახის ყველა, არაფრად გვაგდებს და ყველგან, ყველასგან ყოველ საქმეში გვესმის ბატონის ბრძანება...

...და კიდევ ბრძანება?..

—

რა გაეკეთოთ მაშინ, როდესაც ჩვენ გარშემო მოქმედობს ყველა და ახალი იდეალებით გატაცებული თავგანწირულად იბრძვის უფლებების მოსაპოვებლად?...

როდესაც გარშემო, აქ და რუსეთში, ყველგან გაისმის ახალი სიტყვა: თავისუფლება! ლაპარაკის, ეურნალ-გაზეთობის, შეკრებისა და საერთო მოქმედების თავისუფლება, რწმენისა და სვინდისის თავისუფლება?...

როდესაც გვესმის: პიროვნების ხელუხლებლობა, თვითმართველობა ყველა საქმეში, ხალხის ძალთა თავისუფალი განვითარება?

დიადი სიტყვები, აუცილებელი უფლება!

ამ უფლებებს მოითხოვს რუსეთში ყველა, ამ უფლებების მოსაპოვებლად იბრძვის ყოველი ადამიანი.

ჩვენ კი? გავჩერდეთ, გავჩუმდეთ, ხმა ჩვენიწყვიტოთ, თითს ნუ გავანძრევთ, თვალს ნუ ავახელთ...

ამას გვირჩევენ ზოგიერთ...

არა, ასე ყოფნა არ შეგვიძლიან!

—

რა გზას დავადგეთ ჩვენში, სადაც ველურებათ გვთვლის ყოველი გარეშე შემოსული ადამიანი და სადაც ყველა ცდილობს ჩვენი უხვი ბუნების ხელში ჩაგდებას?

კითხვები, სულ მუდამ კითხვები! რყევა, სიჩუმე... რა არის ასეთ მოქმედების მიზეზი?

წინანდელი უმოქმედობა!

ერთხელვე უმოქმედობას შეჩვეულნი ეხლაც ვერ ვახერხებთ საქმიანობას და მხოლოდ ხანდახან ბრაზ-მორეული ვცდილობთ დავიცვათ ადრევე მიღებული უფლება და მოვიპოვოთ ახალი.

ყველა ის უფლება, რომელიც მიჩნეულია საჭიროდ შუაგულ რუსეთში მცხოვრებ რუსებისთვის, აუცილებელი საჭირო არის ქართველებისთვისაც და არც ერთ უფლებაზე უარის თქმა არ შეიძლება არც ახლა და არც შემდეგში.

მეგობრობა, ერთობა შეიძლება დამყარდეს მხოლოდ იქ, სადაც არის თანაგრძნობაც...

მაგრამ თანასწორობის მოპოვება არ შეიძლება თავის თავად, უშრომლად.

ყოველი უკანასკნელი მწერი იბრძვის ბუნებაში არსებობისთვის, იბრძვის ყოველი პირუტყვი, იბრძვის კერძო ადამიანი და საზოგადოებაში ებრძვის ერთმანეთს სხვადასხვა წოდება სხვადასხვა კლასი...

ბრძოლა არსებობისთვის აუცილებელი რამეა და ამიტომ უნდა დავემორჩილოთ მის აუცილებლობას და ჩვენ უფლებების შესარჩენად, აღსადგენად ან მოსაპოვებლად ვიშრომოთ ისევე, როგორც შრომობენ დანარჩენი ერები დედამიწაზე.

მძინარეს არ გააღვიძებს არავინ და ოქროს ხონჩაზე არ მიართმევს მზა-მზარეულად ყოველსავე მისთვის საჭირო უფლებას.

ხმის ამოუღებლად არ შეიძლება საზოგადოების შეერთება საერთო მოქმედებისთვის და საერთო მოქმედებაც არ იქნება ნაყოფიერი, თუ არ დაეტყო ყველას მხნეობა, გაბედულობა...

ეს გაბედულობა აუცილებელი რამეა და ტყუილად იმალება სირაქლემასავით ზოგიერთი,—მისი განზრახვა მაინც ყველასათვის ცხადია, მხოლოდ თვალ-დახუჭულს არ შეუძლიან ნაყოფიერი მოქმედება უფლებების მოსაპოვებლად!..

ნ. ნ.

ᲞᲠᲔᲡᲡᲐ

„პრიაზოვსკი კრაი“-ში რუსი ცნობილი მწერალი გ. სკიტალეცი ეხვეწება რედაქტორს:

«გევედრებით, ბ. რედაქტორო, კობეკოს კომისიაში ასეთი დეპეშა გაგზავნოთ:

სიცრუის თავისუფლებასთან ერთად იყოს სიმართლის თავისუფლებაც. მოგვეცით იგივე უფლება, როგორი უფლებაც ტყეილის მთქმელთ რუსეთში დიდი ხანია მინიჭებული აქვთ, სხვა არაფერსა გთხოვთ.

რა უნდა ითქვას იმ ქვეყანაზე, სადაც მხოლოდ ტყუილის მთქმელია თავისუფალი!..

—

„მოსკოვის უწყებას“ გზა-კვალი ებნევა,—შიდლოვსკის თავჯდომარეობით შემდგარი კომისია დაიხურა და ამიტომ... მათრახი რუსეთსო.

„არავითარი დათმობა, ხალხის სურვილების შესრულება არ გამოდგება და ვერ მიაღწევს მიზანს რუსეთში —ჯერ წესიერება უნდა აღვადგინოთ“.

რა იყო, რა მოხდა, რამ გააბრაზა გაზეთი?

უმაღლესის ბრძანების თანახმად, შიდლოვსკის კომისიაში წარმომადგენლების გასაგზავნად რომ შეიკრიბნენ, მუშებმა გადაჭრით მოითხოვეს: ჩვენ წარმომადგენელებს სიტყვის თავისუფლება და პირადი ხელ-უხლებლობა მიენიჭოსო.

ამაზე კომისიამ უარი განაცხადა და სამაგიეროდ მუშებმაც აღარ აირჩიეს წარმომადგენლები.

„გამწვავებულ საქმის მშვიდობიანად გადაწყვეტაზე, პეტერბურგის მუშები უარს ამბობენ. მათ ურჩევნიათ ბრძოლა, ძალმომრეობა და ახალი საერთო გაფიცვა.“

მუშა ხალხს აქეზებენ გარეშე პირები,—უნდათ რევოლუცია მოახდინონ რუსეთში.

მუშა ხალხს უნდა, რომ დღეში 8 საათის მუშაობა დაწესდეს და ავიწყდება, რომ ამის შესრულება კი არ შეიძლება.

არ შეიძლებაო იმიტომ, რომ რუსი-მუშა ისე ვერ შრომობს, როგორც გერმანელი ან ინგლისელი მუშა საზღვარ გარეთ და, თუ მუშა ხალხის სურვილი განხორციელდა, რუსეთის მრეწველობა სულ ერთიანად მოისპობაო.

გაზეთი აშინებს მუშებს, გაჩუმდით, თორემ ყველა ქარხანა დაიკეტება და ყველანი ულუკმაპუროდ დარჩებითო.

ნუ თუ მართლა მოსკოვის გაზეთს აწუხებს მუშათა ინტერესები?

თუმცა კი მოუხშირა მუშა-ხალხთან გამობაასებას და პირველ გვერდზე დიდი ასოებითაც აცხადებს, მუშებს იფად, ძალიან იფად დაეთმობათ ჩვენი გაზეთიო.

—

ეხლა, როდესაც საერო კრების მოწვევა გადაწყვეტილ საქმედ უნდა ჩაითვალოს რუსეთში, აქა-იქ გაისმის ხმა, ვაი თუ ამის გამო რუსებს დაეკარგოთ ახლანდელი უპირატესობა სახელმწიფოში და ბატონობა უცხო ტომელებმა, რუსეთში მცხოვრებმა სხვადასხვა ერებმა ჩაიგდოს ხელშიო. ამის შესახებ სწერს გაზ. „ოდესსკია ნოვოსტი“.

„მართალია, უცხო ტომელებს ბევრი წარმომადგენელი ეყოლებათ მომავალ საერო კრებაში, მაგრამ ამ წარმომადგენლების შეერთება, ერთ დასად შეკვრა რუსების საწინააღმდეგოდ არ არის საფიქრებელი. ამათ შესაერთებლად არის საჭირო რამე საერთო მიზანი, რუსების მტრობა, რუსეთის დარღვევის სურვილი, ან სეპარატისტობა, მაგრამ სეპარატისტობა მათში ეხლაც სრულებით არ არის და მით უფრო საფიქრებელია, რომ ეს გრძნობა არ ექმნება არავის მაშინ, როდესაც ყველა ეროვნებას რუსებთან ერთად სახელმწიფოში თანასწორი უფლება ექნებათ მინიჭებული.

გაზ. «რუსი», რომელსაც მოჰყავს ეს ცნობა, უმატებს, რომ უცხო ტომელებს არ—შეეძლებათ საერთო მოქმედებით რუსებს წინააღმდეგობა, ვინაიდან რუსეთში უმეტესობა მაინც რუსი არისო.

გაზეთს ავიწყდება, რომ მალოროსები თავიანთ თავს რუსებად არ სთვლიან და თავიანთ ეროვნულ კულტურის განვითარებას თხოულობენ ისევე, როგორც პოლონელები, ან ფინლიანდელები და რომ ამ ნაირად „ნამდვილ რუსებს“ ან ველიკორუსებს მხოლოდ უმცირესობა ერგებათ და აი ეს არის, რომ სწყინს და აშინებს ზოგიერთებს, არ უნდათ დაჰკარგონ ის ბატონობა, რომელიც ყოველთვის ჰქონიათ.

მაგრამ საყოველთაო კენჭის ყრას ვერ გაექცევა ვერავინ და მაშინ გამოჩნდება, ვის ერგება ბატონობა რუსეთში...

—

გაზეთი „დონეცი“ ურჩევს პოლონელებს, ნუ აღელდებთ, აჯანყების გზას ნუ დაადგებითო.

„აჯანყება ჩვენ ეროვნულ მიზნებისთვის საშიში არის, აჯანყება ერის სისუსტეს ამტკიცებს, ამტკიცებს იმას, რომ ერი მტრისათვის არ წარმოადგენს საშიშარ ძალას.

„საჭიროა ჩვენ ეროვნების მტრებს მედგარი წინააღმდეგობა გავუწიოთ, მაგრამ აჯანყების გზაზე დადგომა მაინც არ არის საჭირო.

ამავე აზრს ადგიან ავსტრიელი პოლონელებიც. იმათ საერო კრებაშიაც ჩამოადგეს ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ ეშველოს რუსეთში მყოფ პოლონელებს, და გადასწყვიტეს, საჭირო არის მშვიდობიანი წინააღმდეგობაო.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ომი შინ, ომი რუსეთშივე.—აი რას მოწმობს ამ ბოლო დროს ყოველი გაზეთი, რომელსაც რუსული ცხოვრების ამბავი მოაქვს. სამარის გუბერნიის, სოფ. პოკროვსკაიადან წერენ ერთი კორესპონდენტი: ეხლაც რამოდენიმე მხეცური ძარცვა-რბევის შემდეგ, რომელიც ჩაიდინა ნაძირალთა ბრბომ და მით მთელი აქაური არე-მარე ააღელვა, ადგილობრივი პოლიცია ძველებურად დამშვიდებით ადგენს ოქმებს, ისმენს ჩივილს და განაგრძობს ფორმალურ მიწერ-მოწერას.. ამ დროს კი მცხოვრებთა ცხვირ-პირი ავაზაკების კეტებისაგან საზამთროსავით იმტვრევა და სკდება, კეტებს არ სჯერდებიან,—ტყვია, წამალი, რევოლვერები, თოფები, ბერდანკები და სხვ. უხვად ჰხვდება მცხოვრებლებს... იღვრება სისხლი.. თითქო გამოცხადებული ომიაო. და ამ ომში იმარჯვებენ ქურდ-ბაკაცები, რომელნიც მცხოვრების თვალწინ სჩადიან ამ საზიზღრობას, პოლიციის თვალ წინ იმ „საგმირო“ ამბებს ახდენენ, რომელიც უსასოებითა და შიშით ავსებს ჩვენ გულსაო. ამ ბოლოს დროს ავაზაკების ბრბო თავისუფლად დასეირნობს ქუჩებში, რევოლვერებითა და თოფებით შეიარაღებული. მაგ., 6 თებერვალს ეს ბრბო რიბაკოვის ქუჩაზე მიდიოდა და ბარცხნივ თუ მარჯვნივ რეკოლვერებს ისროდაო (რ. უ.).

ჯარშიაც გაჩენილა აგიტაცია, როგორც ამას მოწმობს შავი ზღვის ფლოტის ეიცე-ადმირალი ჩუხნინის ბრძანება, რომელიც ამ დღეებში ადგილობრივ გაზეთებში იყო დაბეჭდილი: ამ ბოლო წლებში შავი-ზღვის ფლოტის სამუდამო რაზმებში ძლიერ გავრცელდა სხვადასხვა მავნე აზრები, რომელიც საშიშარს ზიანს აყენებენ, როგორც ზნეობას, ისე საზოგადოებრივ ცხოვრების მშვიდობიანობასაო. ეიცე-ადმირალის სიტყვით, ამ აზრების ქადაგება უნდა ჩაგონონ ჯარის კაცს, რომ არსებული წესწყობილება უნდა დაინგრეს და ისეთი ცხოვრება დამკვიდრდეს, საცა არც პოლიცია, არც ჯარი აღარ იქნება საჭირო და ადამიანიც უკეთესი იქნებაო. სამშობლო მტრებს განუზრახავთ სახელმწიფოს ძლიერება ძირშივე შეარყიონო, ე. ი. სამხედრო ძალა შეასუსტონო. ამნაირი ქადაგებით იყო გამოწვეული 3 ნოემბერს მომხდარი უწესობა, როცა ჯარის-კაცებმა მიანგრა-მოანგრეს ყაზარმები და ძალდატანება ჩაიდინესო.

„პრიკაზი“, რომელიც 400 სტრიქონისაგან შესდგება, ასეთი მოლოდინით თავდება:

„მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ განაგრძობთ თვით-განვითარებას, შეიგნებთ სახელმწიფოს წეს-წყობილების ჭეშმარიტს აზრს და მნიშვნელობას, ჩვენი ქვეყნის ისტორიას გაიცნობთ და განდევნით თქვენი წრიდან მავნებელ და საშიშ მიმართულების კვალსა და გავლენას“-ო (ხ. ვ. მე.).

სასკოლო რეჟიმის უდანაშაო მსხვერპლად დღევანდელი ცხოვრების უმეზავს პირობებს ამოურჩევია, სხვათა მრავალთა შორის, ხერსონის გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფე ქალი შმულიანი, რომელსაც ამ დღეებში კარბოლის სიმჟავისთვის მიუმართავს სკოლაში მიყენებულ უსამართლობისა და შევიწროების გადასაწყვეტად. ცოცხალი ბუნებისა და განვითარებული ყმაწვილი ქალი, ვერ ითმენდა გიმნაზიის მთავრობის შევიწროებას და უსამართლოდ ბავშვების ამოჩემებას და არა ერთხელ მოსვლია ამის გულისათვის შეტაკება სასწავლებლის მთავრობასთან, რომელსაც „პროტესტისათვის“ რამდენჯერმე დაუპირებია მისი სკოლიდან გამორიცხვა და ბოლოს კიდეც აუსრულებია. 16 თებერვალს შ-ნს გაუბედნია და ხმა-მაღლა გამოუცხადებია თავისი წინააღმდეგობა მებუფეტე ქალისთვის, რომელიც ბავშვებს აწვალებდა და სტანჯავდა თურმე. გიმნაზიის უფროსს გაუგია თუ არა ეს, შ-ნისთვის უთქვამს: აიღეთ თქვენი წიგნები და ეხლავე აქედან წაეთრიეთ; ქალალდებისთვის კი მამა გამოგზავნეთ“. შ ნი წასულა სახლში, დაულევია კარბოლის სიმჟავე და მალე სულიც განუტევია. უბედურის ქალის კუბოს მთელი სასწავლებლების ახალგაზდობა მისდევდა თურმე, კუბო ხელით მიჰქონდათ სასაფლაომდის. მრავალი გვირგვინებით შეუმკიათ კუბო და, სხვათა წარწერათა შორის, ასეთიც ყოფილა: «სახელმწიფო რეჟიმის უდანაშაულო მსხვერპლს» («რ. უ.»).

უცხოეთი

ავსტრია. როგორც ყველგან ევროპაში, ავსტრიაშიც დიდ მეცადინეობაში იყო მუშა ხალხი წინად და ახლაც ცდილობს 8 საათიან მუშაობის დაწესებას ავსტრიაში. ამ მოძრაობაში ჯერ-ჯერობით ყველაზე მეტი გამარჯვება ხვდა იმ მუშა-ხალხს, რდმელიც ქვა-ნახშირის მაღაროებში ათასობით მუშაობს. ამ ათიოდე წლის წინად მათ დავას პატრონებთან ისეთი გამწვავება დაეტყო, რო ვენის მთავრობა იძულებული შეიქმნა საქმეში ჩარეულიყო და დავა პარლამენტში გადაეტანა. აქ აღმოჩნდა, რომ ამ მაღაროების პატრნად სულ 16 კაცი ყოფილა თურმე და ამათ ჰქონია მრავალ ათას მუშებთან გამწვავებული დავა. მთელი საზოგადოება, ჟურნალ-გაზეთობა და პარლამენტის უმრავლესობა მუშებს მიემხრო; და თუმცა ზოგი-ერთმა ორატორმა მჭერმეტყველად და დაწვრილებით ილაპარაკა, რომ 8 საათიან მუშაობის შემოღება ქვა-ნახშირის მრეწველთ დიდად აზარალებს და გააკოტრებსო; რომ მთელი მრეწველობა დაეცემა და ამდენი ათასი მუშა უსაქმოდ დარჩებიან,—პარლამენტმა მაინც კანონი გამოსცა, რომლის ძალით 9 საათის (1 საათი საღილზე მიდის) მუშაობა დაწესდა ყველა მაღაროებში. ეს მოხდა 1902 წელს. მას შემდეგ ორი წელიწადი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში ნათლად უნდა გამორკვეულიყო, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო პატრონების შიში,—ქვა-ნახშირის წარმოება დაეცემოო. ამაზე ახლა პასუხს იძლევა ერთი დოკენტი მიუნხენის უნივერსიტეტისა ზინკჰემერი, რომელსაც ადგილობრივ გამოუკვლევია ხსენებული წარმოება და 8 საათიან მუშაობის შედეგი. ეს გამოკვლევა რომ უფრო სარწმუნო ყოფილიყო საზოგადოებისა და მთავრობისათვის, ავტორმა მხოლოდ იმ მასალით ისარგებლა, რომელიც თვით მაღაროების პატრონებისაგან მიუღია. გამოკვლევა ნათლად ამტკიცებს, რომ 8 საათის მუშაობა მართო მუშების სახეირო არ არის და წარმოებას კარგ სარგებლობას აძლევს; მაღაროებში მუშების რაოდენობა დღესაც იმდენია, რამდენიც ამ 2 წლის წინად ყოფილა, წარმოება გაძლიერებულა და მეტ შემოსავალსაც აძლევს ახლა პატრონებს. მუშები ნაკლებად იღალებიან, ამიტომ მათი მუშობაც უფრო ბარაქიანი გამხდარაო.

გურიის ვითარება

ფარცხმის საზოგადოების ყრილობა *).

28 თებერვალს ბ-ნ სულთან-უირმ გირეი დასწერა თარგუნმის საზოგადოების ყრილობას და ჩოხტურში. საზოგადოებას აიჩია 15 წარმომადგენელი, რომელთაც აუწერეს მას ყრილობის წინაშე საზოგადოების მდგომარეობა და ის მოთხოვნილებანი, რომელთა კანხორციელებამ უნდა გამოიყვანოს საზოგადოება დღეგანდელ სიღატაკის და უფულობის მდგომარეობიდან.

ჩვენ უკიდურეს გაჭირვებაში ვართ, გლეხს, მიწის ბუშს, მიწა არა აქვს. მთელი ქონება ერთი მუჭა ხალის ხელშია. ჩვენ ვმუშაობთ და არაფერი გვაქვს, ვმუშაობთ და არა გვრჩება-რა, ჩვენ ვშრომობთ და სხვას-კი მიაქვს. დღითი დღე უფრო და უფრო ვღატაკდებით. როცა დაგრწმუნდით, რომ ჩვენ გაჭირვებას ბოლო არ ეღებოდა, გადაწყვეტეთ მოვლაპარაკებოდით მემამულეებს, რომ უფრო შედავათიანი პირობით აგვეღო მიწები. ამ დროს მემამულეებმა მამარეთეს ბოდიტიას. ჩვენ გვეგონა ბოდიტია დასმარებას გაგვწევდა, მაგრამ ამ ადამიანებ გაგვცრუვდა. ბოქაულმა მოვიდა, დაიბარა ერიდობა და გამოაცხადა, თუ არ გიმუშავია მემამულეების მიწებზე ძველი პირობების მისაღებით, ციხეში გამოგაგზავნიო. სულ-წერილი ჩამოგვრთვა, რომ უსუფოდ ეიმუშავებდით. ჩვენ მოვისურვეთ აგვეხსნა ბოქაულისათვის ჩვენი გაჭირვება. ბოქაულმა მთრახით გაგვრეკა, ვინც მის წინ წარსდგა, ის კაამთრახა და სატუსაღოში გაისტუმრა. ჩვენც არა ნაკლები ადამიანები ვართ, „რამდენი მუტი დაგვარტყეს, იმდენი მეტად გვეტკინა, იმდენი კინზე გავიწიეთ“. როცა ბოქაული ვერაფერს გახდა, მაზრის უფროსი მოვიდა, ერიდობას უბრძანა—იმუშავეთ მემამულეების მიწაზე კრინტის დაუძვრელათო. და როცა ჩვენ მორჩიდენ არ გამოვუტხადეთ, მთელ დღეს სიცხეში თავშეშველი გაგვჩერა, არ გაგიშვებთ, სანამ ჩემსას არ გავიტანო. მიუხედავად ამისა საწადელს ვერ მაიღწია და „გაბრუნდა. ეს იყო აპრილში, 1903 წელს. მაისში ხელ-ახლა მოვიდა მაზრის უფროსი, ჩვენ წავაყენეთ ჩვენი სანდო მეზობლები, რომ მოეხსენებინათ, შეგვარიგეთ მემამულეებთან, შეგვთანხმებიან, ჩვენიც კაიგონეთ. ამაზე დაგვიყვირა, ჩუმად, დაბარაკის ნებას არ გაძლევთ,—და გადაგვისვა მათრახები. ამის შესახებ ვთხოვთ აქ დამსწრე მემამულებს, დასმოწმონ, მართალს ვამბობთ თუ არა.

მართლაც წინ წამოდგნენ ორი მემამულე თავადი, რომელთაც განაცხადეს: 1) გვინდოდა ერიდობას დავსწრებოდით და შევთანხმებოდით მუშებს, მარა მაზრის უფროსმა გამოგვიგზავნა ბოქაული და შემოგვთავაა, არამც და არამც არ ჩამოგვდოთ შეთანხმებაზე დაბარაკი და ერიდობას არ დასწრათო. საზოგადოდ იეო შემოხვევები, რაცა მემამულეებს უნდოდთ მუშებთან შეთანხმება, მარა მაზრის უფროსმა არ დაგვანება, ეს კანონის წინააღმდეგიაო. იმავე დროს მემამულეებმა დაადასტურეს მაზრის უფროსის შეუწყნარებელი ქცევა; მართლაც ხალხი გაამთრახა, მიუსია ჩაფრები და ეაზახები და ციხეში გაიყოლა. აქედან, დასვენა ხალხმა, ჩვენ ნათლად დავინახეთ, რომ ჩვენთვის არავინ ზრუნავს, ჩვენი დამცველი არავისა, ხოდო მტერი კი სულ ეველა. ჩვენ მარტო ჩვენი თავის იმედი უნდა გვქონდეს. სამდვილოობაც ხალხს მძიმე ტვირთად აწევს. ის დიდად სასუიდელს იღებს ეოტეგორ